



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N8**

ქ. ლანჩხუთი

30. 05. 2017 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი უკეთესი მომავლისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე. საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი. გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ გამგეობიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

4. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი ტექ-სერვისი“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

9. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლითაც მოხდება: ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანის პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ნორმატიული აქტის პროექტი.

დეკუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ფაქტობრივად ჯარიმების კერად იქცა- ერთ დღეში საპატრულო პოლიციის მიერ 6 000 ლარის ჯარიმა იქნა გამოწერილი, რაც აისახება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე იმ ვიზიტორების და სტუმრების ჯიბეზე, რომლებიც მაღაზიის წინ რამდენიმე წუთით შეაჩერებენ ავტომობილს. (მან მოიყვანა „მეტროს ავტობუსის“ მაგალითი, რომელიც თურმე აქამდე არასწორ ადგილზე ჩერდებოდა). კარგია, რომ ბიუჯეტში შემოსულობები შემოვა, მაგრამ არა მოქალაქეების დაჯარიმების და სანქციების გზით. მისი თქმით, სასწრაფოდ უნდა მოეწყოს პარკირების ადგილები, რაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს ქალაქში ავტომობილების დგომა-გაჩერების წესებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არის დამატებული ერთი პუნქტი, სადაც მუნიციპალიტეტის გამგებელმა დადგენილების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს პარკირების ორგანიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. ფინანსური უზრუნველყოფა არ არის დიდი ოდენობის ხარჯებთან დაკავშირებული. იგი იმედოვნებს, რომ საკითხი მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით დადებითად გადაწყდება და ქმედითი ნაბიჯები გატარდება პარკირების პრობლემის გადაწყვეტის კუთხით.

დეკუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, ქვეითთა გადასავლელებთან (ე.წ ზებრა გადასასვლელები) მთლიანად წაშლია შესაბამისი საგზაო ხაზები, რაც მოქალაქეებს გადასვლაში გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ ადგილზე შესაბამისი საგზაო მონიშვნები ამა წლის 5 ივნისამდე გაკეთდება.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ**, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში წერია, რომ პარკირებისათვის განსაზღვრული ადგილია აფთიაქ „პსპ“-ეს მიმდებარე ტერიტორია. მისი

თქმით, ასევე უნდა ჩაიწეროს კლინიკა „ავერსის“ შემთხვევაში (მიმდებარე ტერიტორია), რადგან ავთიაქში მისულ შეჭირვებულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ავტომობილის გაჩერების საშუალება ისე, რომ სამსახურებრივმა ავტომანქანებმა, „ჯიპებმა“ დაბრკოლება არ შეუქმნას მათ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის გვერდით, მიუხედავად საგზაო ხელოვნური ბარიერის არსებობისა, დიდი რისკია ავტოსაგზაო შემთხვევების. მისი თქმით, აუცილებელია აღნიშნულ ადგილზე შუქნიშნის დამონტაჟება.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ პარკირება არ გულისხმობს იმას, რომ მძღოლს შეუძლია პარკირების ადგილზე რამდენიმე დღით დატოვოს ავტომობილი. აუცილებელია პარკირების ნიშნებზე აღნიშნული იყოს, თუ რა დროით არის შესაძლებელი ავტომობილის გაჩერება.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი „ტექნიკუმის“ წინ გადასასვლელთან სასწრაფოდ გასაკეთებელია განათება, რადგან ღამით, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში ხილვადობა გამწვანებულია.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში პარკირებასთან დაკავშირებული თითოეული დეტალი, თითოეული საგზაო მონიშვნა უნდა იყოს შეთანხმებული საპატრულო პოლიციასთან, ვინაიდან საქმე ეხება პირველი კატეგორიის მაგისტრალს. მისი თქმით, გაიგზავნება წერილი საპატრულო პოლიციაში, შეიქმნება გარკვეული მუშა ჯგუფი, რომელიც უმოკლეს პერიოდში უზრუნველყოფს პარკირებასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებას. პარკირებისათვის საჭირო საგზაო ნიშნების და საგზაო მონიშვნების გაკეთება არ არის დიდ თანხებთან დაკავშირებული. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდება შესაბამისი სახსრების მოძიება.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N14 (30.05.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძე**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. ასევე, ცვლილებების შედეგად გამიჯნული იქნება და დაკონკრეტებული საკრებულოს კომისიების, ფრაქციების უფლებამოსილებები და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ვადები. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N15 (30.05.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის მე-16 მუხლი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N16 (30.05.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა, სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. ვასილ ჩხაიძე გახლდათ ქვეყნის საამაყო მამულიშვილი, გამოჩენილი ქართველი მსახიობი. გარდა ამისა, მის ხელში აღიზარდა თაობები, მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა სოფელ აცანის საშუალო სკოლის რუსულისა და გერმანული ენის პედაგოგად.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N41 (30.05.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთი ტექ-სერვისი“- სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2011 წლის 29 ივნისის N51 ბრძანებით და 2011 წლის 13 ივლისით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით (ბრძანებისა და მიღება-ჩაბარების აქტის ასლები წარმოდგენინ დოკუმენტს თან ახლავს) უვადო სარგებლობაში უსასყიდლოდ

გადმოეცა ავტომობილი ნივა ვაზ 21214 , ძარის N-177 8368, ძრავის N 7918128, სახელმწიფო ნომერი CCZ-589, საბალანსო ღირებულება 5493.09 ლარი, ნარჩენი ღირებულება 4877.86 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა ა(ა)იპ „ლანჩხუთი ტექ სერვისთან“ გაფორმდეს უსასყიდლო თხოვების ხელშეკრულება.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N42 (30.05.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიმდინარე წლის 27 აპრილის N465 წერილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილება. კერძოდ: 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული სამკურნალო და საოპერაციო თანხებით დახმარების პროგრამაში მთლიანი ტექსტიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „მცხოვრები“. სამსახურის მიერ მომზადდა ზემოთ აღნიშნული განკარგულებით დამტკიცებული N9 დანართის პროექტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ანალოგიური ცვლილება უნდა შევიდეს პროგრამის ყველა მუხლში. მისი თქმით იმის გამო უთხრა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა უარი მოქალაქე თამარ ჭეიშვილს, რადგან სამკურნალო და საოპერაციო დახმარების პროგრამაში ეწერა „მცხოვრები“.



საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ნებისმიერი სახის სოციალური დახმარების გაცემის წესზე საუბარი, აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს, რომ ბენეფიციარი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში იყოს რეგისტრირებული.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა ურუქემ აღნიშნა, რომ სოციალური დახმარებების გაცემა უნდა მოხდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებზე.

დეპუტატმა დავით ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში და რეგისტრირებულია სხვა მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარების მისაღებად შესაძლოა წავიდეს იმ მუნიციპალიტეტში, სადაც დარეგისტრირებულია, მაგრამ როცა იგი სარგებლობს უფასო სადილით, ეს გარემოება გარკვეულ უხერხულობას შექმნის.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე დაეთანხმა დეპუტატის მოსაზრებას, რომ უფასო სასადილოს შემთხვევაში ამ წესით ხელმძღვანელობა შექმნის გარკვეულ უხერხულობას. აქედან გამომდინარე, უფასო სასადილოს შემთხვევაში უნდა დაიშვას გამონაკლისი და სარგებლობა უნდა შეძლოს, როგორც რეგისტრირებულმა, ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ბენეფიციარმა.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ერთჯერადი დახმარების მოთხოვნით მან ხუთ მოქალაქეს გაუწია შუამდგომლობა, აღმასრულებელმა ორგანომ კი სამწუხაროდ არცერთი მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა ურუშაძემ განმარტა, რომ გასულ წელს სოციალური დახმარების გაცემის წესში განსაზღვრული იყო, რომ შუამდგომლობა უნდა დამდგარიყო საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატისგან. მიმდინარე წელს ეს შეზღუდვა არ არსებობს, შუამდგომლობის გაწევა შეუძლია, როგორც მაჟორიტარ, ასევე პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატს. მისი თქმით, მიმდინარე წელს ზემოთ ნახსენებ შუამდგომლობებზე უარი არ თქმულა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N43 (30.05.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეშვიდე მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 22404 ლარი, მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N810 განკარგულებით საფუძველზე მიმართა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სახიდე გადასასვლელის მოწყობაზე და ქალაქ ლანჩხუთში სახიდე გადასასვლელებისა და ცხაურების მოწყობაზე, მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N824 განკარგულებით სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ გამოყოფილია 350000 ლარი, საქართველოს მთავრობის 19 მაისის N984 განკარგულებით აზიური ფაროსანას წიანდმდეგ გასატარებელი ღონისძიებისათვის 15984 ლარი. გამოყოფილი თანხები აისახოს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვით ნაწილში. საფინანსო სამსახურში შემოსული მოხსენებითი ბარათების საფუძველზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტრანსპორტის მუხლი გაიზარდოს 3000 ლარით ავტომანქანის რემონტისათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრანსპორტის მუხლი გაიზარდოს 3500 ლარით ავტომანქანის რემონტისათვის და არაფინანსურ აქტივებში 10000 ლარით ვებ გვერდის განახლებისათვის, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის წერილის საფუძველზე მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის მუხლი გაიზარდოს 60000 ლარით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიების პროგრამის მუხლი გაიზარდოს 3800 ლარით, მათ შორის; მის ლანჩხუთის 2017-ის ჩატარებასთან დაკავშირებით 2300 ლარით და აგვისტოს ომში შინდისში დაღუპული გმირების ოჯახების ტრანსპორტირებისათვის 1500 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთი-სერვის დამატოს 15000 ლარი სოფელ გრიგოლეთში დასუფთავების ღონისძიების დაფინანსებისათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონის სარემონტო სამუშაოებისათვის გამოიყო 55000 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარის კალაპოტის ღორღით და შლამით ამოწმენდითი სამუშაოებზე 4500 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრის სუბსიდირების მუხლი შემცირდეს 4300 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 4300 ლარით, ა(ა)იპ ტექ სერვისის სუბსიდირების მუხლი შემცირდეს 2150 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 2150 ლარით. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამაში სოციალურ უზრუნველყოფის მუხლი 1000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით და სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 500 ლარით, ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების 2800 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფისის ხარჯი 800 ლარით და სხვა საქონელი და მომსახურება 2000 ლარით.

ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს ბიუჯეტი

შემოსავალის ნაწილში 154000 ლარით, მათ შორის არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვის ხარჯზე 28410 ლარით და შენობა ნაგებობის გაყიდვის ხარჯზე 125590 ლარით. აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს 2017 წლის ბიუჯეტში.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა იგეგმება იმ არაფინანსური აქტივების მუხლის ხარჯზე, რომლის რეალიზაცია ფაქტობრივად ჯერჯერობით არ განხორციელებულა. მისი თქმით, გამოდის, რომ ბიუჯეტის ზრდა ხდება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე, რაც დაუშვებელია. იგეგმება სტადიონის გაკეთება - თანხა არ არის, ჯიხეთის დედათა მონასტრის პროექტის გაკეთებას მხარი დაუჭირა საკრებულომ. აქაც აღმოჩნდა, რომ შესაბამისი სახსრები აღარ დარჩა, მისი თქმით, ეს ყველაფერი არის მუნიციპალიტეტისთვის დიდი სირცხვილი.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მოსახლეობის მოთხოვნა არის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონს ჩაუტარდეს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაო.

დეპუტატმა **ადამ ხუხუნაიშვილმა** აღნიშნა, რომ იგი არის რამდენიმე მოწვევის საკრებულოს წევრი, მაგრამ მსგავსი უსამართლობის მომსწრე არასდროს ყოფილა, კერძოდ, მან არაერთხელ გააჟღერა საკრებულოს და ბიუროს სხდომებზე ჭადრაკის სკოლისათვის შენობის გამოყოფის საკითხი, მაგრამ სამწუხაროდ რეაგირება დღემდე არ მომხდარა. მისი თქმით, 70 პერსპექტიულ ბავშვს, რომელიც ჭადრაკის სკოლაში სწავლობს, ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ უხდება მეცადინეობების ჩატარება. მოხდა დამწვარი ჭადრაკის სკოლისთვის ვითომ სარემონტო სამუშაოს შესრულება, მაგრამ აღნიშნულ შენობაში სასწავლო პროცესის ჩატარება არის საფრთხის შემცველი. მან მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, თუ რატომ უნდა მას, რომ მისი გამგებლობის პერიოდში ლანჩხუთში საჭადრაკო ცხოვრება ჩაკვდეს. საფეხბურთო სტადიონების რეაბილიტაციისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 55 000 ლარი, იმ ფონზე როცა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბევრი კარგი სტადიონია აბიზინებული მწვანე მინდვრით და სამწუხაროდ მასზედ მოთამაშე ვერც ერთ ბავშვს ვერ დაინახავს ადამიანი. იყო საუბრები ჭადრაკის სკოლისთვის ყოფილი მეთესლეობის შენობის გადაცემის თაობაზე, (რომელიც ფაქტობრივად გავერანებულია) მაგრამ აღმოჩნდა, შენობა გადაცემულია ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის უზურფრუქტით წესით. მისი თქმით, 55 000 ლარად შენობას ჩაუტარდებოდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაო, რითაც ჭადრაკის სკოლის და 70 ბავშვის პრობლემა საბოლოოდ მოგვარდებოდა.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სტადიონებისთვის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მოთხოვნა ბევრჯერ იყო გაჟღერებული. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულო მხარს უჭერს, რომ მოიხსნას სტადიონების რეაბილიტაციის დაფინანსება და თანხები გადატანილ იქნას საჭადრაკო სკოლისთვის, ეს არის საკრებულოს გადასაწყვეტი. მისი თქმით, თუ ჭადრაკის სკოლისთვის გამოინახება რაიმე შენობა, იგი ყველაფერს გააკეთებს უფელბამოსილების ფარგლებში დაეხმაროს ჭადრაკის სკოლას და სარემონტო სამუშაოებისთვის თანხები გამოუყოს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, თუ რატომ არ ხდება მდინარაძის ქ. N1- ში მდებარე ყოფილი რედაქციის შენობის გადაცემა ჭადრაკის სკოლისთვის. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ზაზა ურუშაძე დაეთანხმა, რათა აღნიშნული შენობა გადაეცეს ჭადრაკის სკოლას. დეპუტატმა ამის შემდეგ განაცხადა, რომ გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურმა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ უნდა შეიმუშაოს განკარგულების პროექტი, (რომლის განხილვაც მოხდება მორიგ საკრებულოს სხდომაზე) რათა მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე ყოფილი რედაქციის შენობაში, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს, განთავსდეს ჭადრაკის სკოლა.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მარტის თვეში მოხდა მუნიციპალიტეტის გამგეობაში და საკრებულოში გარკვეული ხარჯების შემცირება, ასევე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სამი ა(ა)იპ-ის თვის დაფინანსების შემცირება(154 000 ლარი). იგი დაინტერესდა, იყო თუ არა შესაძლებლობა ეს მარტის თვეშივე განხორციელებულიყო. ასევე, 350 000 ლარიდან, რომელიც სტიქიისთვის გამოეყო მუნიციპალიტეტს რატომ დაბრუნდა 11 000 ლარი.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელება მარტის თვეში ვერ მოხერხდებოდა, ვინაიდან მთავრობის სპეციალური განკარგულებით უნდა მომხდარიყო ხარჯების შემცირება. რაც შეეხება სტიქიისათვის გამოყოფილ თანხას, 350 000 ლარი მუნიციპალიტეტს ფიზიკურად არ მიუღია. გამოიცა მთავრობის განკარგულება, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტი წარადგენდა სტიქიის შედეგად დაზიანებულ ამა თუ იმ ობიექტს, რომლის დაფინანსებაც შემდგომ განხორციელდებოდა.

დეპუტატი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რომ ყოფილი სასტუმროს შენობის გადახურვა რატომ მოხდა სტიქიისთვის გამოყოფილი სახსრებით და რატომ იქნა აღნიშნული ობიექტები ვიღაც ორი პიროვნებისათვის გადაცემული, რომელთაგანაც ერთი არის გაფორმებული და სამუშაოს სხვა ასრულებს, ასევე რატომ იქნა ტენდერებში შეყვანილი მოსახლეობის სახლების გაკეთება. იგი ასევე დაინტერესდა, თუ სტიქიის კუთხით რატომ არ არის ჩასმული თავისუფლების ქუჩაზე მდებარე „დუნდუას“ სახელობის სტადიონი, რომელიც უშუალოდ სტიქიის შედეგად დაზიანდა.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მოსახლეობის სახლებთან დაკავშირებით პირდაპირი შესყიდვის წესით ვერ ჩატარდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რადგან ზოგ სახლს ჰქონდა რამდენიმე შიფერი გადახდილი, ზოგს - რამდენიმე კრამიტი და ა შ. რაც შეეხება ყოფილი სასტუმროს შენობის გადახურვას, იგი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, რომელმაც უზრუნველყო წლების უკან დანგრეული და გავერანებული შენობის მოვლა, რაც მხოლოდ მისასაღმებელი უნდა იყოს. „დუნდუას“ სახელობის სტადიონის დაზიანება მოხდა სტიქიამდე 3 თვით ადრე და პროექტში ამ კუთხით ვერ ჩაისმებოდა.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ეს არის მაგალითი ელიტური სამოხელეო კორუფციის, ვინაიდან 2014 წლის მოხდარი სტიქიის შედეგად მიღებული ზიანისთვის თანხები გამოიყო 2016 წელს და 3 თვის უკან მოხდარ სტიქიაში არ ჩაისვა „დუნდუას“ სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის გაზრდა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მუნიციპალიტეტს გაუჩნდება შესაბამისი შემოსავლები. არის მეორე მომენტი, გაზრდა შესაძლებელია სხვა რაიმე ხარჯების შემცირებით. გამოდის, რომ ახალი ვალდებულებების აღებით ძველი ვალდებულებები დარჩება შეუსრულებელი. მისი თქმით ჯიხეთის დედათა მონასტრის პროექტის ნაცვლად, რომელიც არ სრულდება, შესაძლოა ჩაისვას აღნიშნული საკითხები.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ჯიხეთის დედათა მონასტრის პროექტი მიდინარე წლის პროექტებში არ არის ჩასმული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტის მიხედვით 15 000 ლარი არის განსაზღვრული სოფელ გრიგოლეთში დასუფთავების ღონისძიების დაფინანსებისთვის, რაც საკურორტო სეზონის დაწყებისთვის აუცილებელია. 3800 ლარი განსაზღვრულია კულტურული ღონისძიების, კერძოდ მის ლანჩხუთი 2017 ჩატარებისთვის, რომელიც არ გახლავთ იმ ოდენობის თანხა, რასაც შეიძლება ხელი შეემალოს. ასევე, აუცილებლად უნდა იქნას სახსრები ერთჯერადი დახმარების კუთხით. ვებ გვერდის განახლებისთვის გათვალისწინებული 10 000 ლარი შესაძლოა დაკორექტირდეს, ვინაიდან მან მოიძია ისეთი კომპანია, რომელიც 3000 ლარად შეასრულებს აღნიშნულ სამუშაოს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის არ მიღება არ შეიძლება. გამომდინარე აქედან, მან საკრებულოს სხდომაზე გამოაცხადა 15 წუთიანი შესვენება. ასევე, თხოვნით მიმართა დეპუტატებს ყველა ფრაქციიდან შეკრებილიყო თითო წარმომადგენელი და დეტალურად განეხილათ დოკუმენტის ყველა პუნქტი, ერთობლივად შეჯერებულიყვნენ საკითხის ყველა ნიუანსზე.

**საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.**

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ როცა განიხილება ბიუჯეტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალის აზრი და შეფასებები. მან კითხვით მიმართა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას, თუ რამდენად ლოგიკურია მოცემულ ვითარებაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდა, რაზეც მიიღო

პასუხი, რომ არ არის ლოგიკური. დეპუტატი მიესალმება სტადიონების რეაბილიტაციას და ყველა სახის შენებას, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახსები. იგი დაინტერესდა, არის თუ არა შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა, რადგან ამ მომენტში მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება- დაუჭერს თუ არა მხარს ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებს.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ბიუჯეტის დაგეგმარების დროს ძირითადი ბაზა უნდა იყოს გაანგარიშებული, მაგრამ არსებობს მეორე მიმართულება- წინა წლების ბიუჯეტის მაჩვენებლების ექსპერტული შედარება, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების მუხლის კლების გათვალისწინებით შესაძლოა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება პროგნოზის საფუძველზე, რომელშიც შემდგომ ხდება გარკვეული შესწორებების შეტანა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ შესვენების პერიოდში ყველა ფრაქციის წარმომადგენლებთან ერთად გავლილი იქნა აღნიშნული საკითხი, მიღწეულ იქნა გარკვეული შეთანხმება. მან თხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს შეჯერებული ვარიანტი გაეცნო საკრებულოს სხდომისთვის.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** წარმოადგინა დოკუმენტის ურთიერთშეთანხმებული, კორექტირებული ვარიანტი. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დამხარების პროგრამის მუხლი განისაზღვრა 40 000 ლარით, სოფელ გრიგოლეთში დასუფთავების ღონისძიების დაფინანსებისთვის გამოიყო 15 000 ლარი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისთვის 3800 ლარი, ვებ-გვერდის განახლებისთვის ნაცვლად 10 000 ლარისა 3000 ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებული 54 000 ლარიდან 20000 ლარი გამოიყო მდინარაძის N1 მდებარე ყოფილი რედაქციის შენობის რეაბილიტაციისთვის, რათა მასში განთავსდეს ჭადრაკის სკოლა, ხოლო 20 000 ლარი მიიმართა სტადიონების რეაბილიტაციისთვის (ჩოჩხათის ადინისტრაციულ ერთეულში მდებარე სტადიონი, ასევე ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ორი სტადიონი და სხვა ინფ.სამუშაოებისთვის). საბოლოოდ 154 000 ლარი შემცირდა 113 000 ლარამდე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა დასახელდეს თარიღი, თუ როდის დაიწყება ჭადრაკის სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ ჭადრაკის სკოლისთვის გამოყოფილი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება მყისიერად, როცა შესაბამის ფულადი სახსრები გაჩნდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

სხდომათა დარბაზი დატოვა დეპუტატებმა: რომან ბიწამემ, ნონა მურვანიძემ, დარეჯან ბურჭულაძემ.

კენჭისყრას ესწრებოდა 16 დეპუტატი.

მომხრე: 16 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N17 (30.05.2017 წელი).

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ 1 ივლისიდან ამოქმედდება ახალი კანონი „საჯარო სამსახურის“ შესახებ“, რომელიც ადამიანური რესურსების მართვის ერთეულებს ფუნქციებს უზრდის, კერძოდ, უნდა განხორციელდეს მოხელეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობების ერთიანი კლასიფიკაცია; მოხელეს შესაძლებელია მიენიჭოს მოხელის კლასი მოხელის შეფასების შედეგებისა და სამსახურის სტაჟის მიხედვით; საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელე შეაფასოს წელიწადში ერთხელ, „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მოხელის შეფასების წესის შესაბამისად, ასევე „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უნდა იყოს, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელი, უნდა მოხდეს ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემის მუშაობის სრულყოფა. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში დაემატოს სპეციალისტის საშტატო ერთეული.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 16 დეპუტატი.

მომხრე: 16 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N44 (28.04.2017 წელი).

სხვადასხვა:

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაფიქსირდა შემთხვევა, როცა სტიქია მოხდა, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები კუკულამეების ოჯახი არ იმყოფებოდა სოფელში. სტიქიამ კი მათი საცხოვრებელი სახლის სახურავი მნიშვნელოვნად დააზიანა. როცა ოჯახმა ნახა არსებული ვითარება და განაცხადი შემოიტანა დახმარების თაობაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ უკვე დაგვიანებული იყო მათი განცხადების მიღება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო